**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . | 10 მ. — კ. |
| 11 ,, | . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 ,, | . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 ,, | . . | 8 ,, — ,, |
| 8 ,, | . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 ,, | . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 ,, | . . | 6 ,, — ,, |
| 5 ,, | . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 ,, | . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 ,, | . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 ,, | . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 ,, | . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 209 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 209

**წლიურის ფასის ნაწილ ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და [illegible]

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ. მარტის 1-ს— 3 მან. და [illegible] 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და სალამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА". (40—30). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

მისაღები ეგზამენები

ტფილისი სგაღოსნო სკოლაში

დანიშნულია 25—29 ენკენისთვემდე, (2—1).

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

ქართულ თეატრის დამხმარებელ

ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი**

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, სალამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20. (30—7).

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, თანხმად ქალაქის საბჭოს ამ წლის 28 ივნისის დადგენილებისა, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა, დასაფასებელ გარდასახადის მთელი ჯამი ამ მიმდინარე ნახევარ წლისა გადიდებულ იქმნა $^1/_4$%-ით ამ 1905 წლის 1-ლ ივლისიდგან (მთელის წლის ანგარიშზედ $^1/_8$%-ით); ეს დამატებულ იქმნას მიდინარე წლის ოკდომბრის განმავლობაში, ჯარიმის შეურიცხველად. (2—2).

## სააგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაკრებად: 100, 200, 300 საჟენობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

კბილის ექიმი

## ალ. სოლოლაშვილი

## გადავიდა

გოლოვინის პროსპექტზედ, მდივანის სახლში, № 12, „კრუჟოკის" გვერდზე. ავადმყოფებს მიიღებს დილით 10—3 საათამდე, სალამოთი 5—7-მდე. კვირაობით 9—10 საათამდე. (5—5).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის და ჯერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**გრ. ვ. ხობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**მ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს —67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—დოროსმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და სადამოთი 6—8-დე.

პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აფეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова. წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ვ. ნემიროვიჩ დანჩენკოს დეპეშა. — მუკდენთან — წვრილი ცნობები.—პორტ-არტური.

თელინიდგან ვას. ნემიროვიჩ დანჩენკო დეპეშით იუწყება:

თუმცა ჩინელები ირწმუნებიან, ვითომც გენერალი კუროკი თელინზე მოდის, მაგრამ ეს ამბავი ტყუილი უნდა იყოს. ჩვენმა მზვერავებმა მხოლოდ მცირე რაზმები შენიშნეს და ისინიც უკან გარბოდნენ. ლიაოანთან იაპონელები ძალიან მოიღალნენ და ისე დაზიანდნენ, რომ შორს წასვლა აღარ შეუძლიანთ.

ჩინეთის დედოფალმა აქაურ ძან-ძუნს 400,000 ლანი გამოუგზავნა რუსის ჯარისაგან დაზარალებულ მცხოვრებთათვის. ლიაოიანისა და მუკდენს შუა მცხოვრებლები სულ გახიზნულან.

სათნოების დას ანტაევისას საგმირო საქმე მოუქმდენია. როდესაც რუსის ჯარი მუკდენისკენ წამოვიდა, ხმა გავრცელდა, ვითომც იანთაის მადნებთან დაჭრილი ჯარის კაცები დასტოვესო. ანტაევისას უთხოვნია, გამგზავნეთ იქითკენო, მაგრამ უარი მიუღია, რადგან იანთაი იაპონელების ხელთ არის. ანტაევისა არ დამშვიდებულა, თუმცა გენერალ მიშჩენკოს ცნობებით იანთაიში დაჭრილები არ დაუტოვებიათ და გადაუწყვეტია, მარტოდ-მარტო ფეხით გაეარა 75 ვერსი. მართლაც ანტაევისა მიმავალი უნახავთ, მაღალ ყელიან წაღებით, როდესაც წვიმისაგან მოზვავებულ მდინარე შახეში გატოპვას აპირობდა. აქაც მნახველნი ურჩევდნენ, უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. გმირი ქალი მართლა იანთაის მისულა, დარწმუნებულა, რომ იქ დაჭრილი რუსის კაცები არ არის, და უკან დაბრუნებულა. სათნოების დანი საერთოდ მამაცად და თავგანწირულებით მოღვაწეობენ, ცეცხლს სრულიად არ ერიდებიან.

«რუსის» კორესპონდენტი, რომელსაც ტყვიამ გულში გაჰკრა, ეხლა რჩება. ხიდიდგან გადავარდნილი და დაშავებული დუდაროვი, იმავ გაზეთის კორესპონდენტი, მოკვდა. (რ. ს.).

—

მუკდენიდან „რუს. სლოვ."-ს სწერენ, მუკდენის ძან-ძუნს იაპონელებთან მიწერ-მოწერა აქვს. გენერალ ნოძუსაგან წერილი მიუღია, მუკდენს რომ დავიჭეროთ, კერძო ქონებას არ დავისაკუთრებთ და საფლავებს არ დავეპატრონებითო.

ძან-ძუნი პოლკოვნიკ კვიცინსკისთან მივიდა და შუამავლობა სთხოვა მანჯურიის მთავარ-სარდლის წინაშე, ჩვენ წინაპართა საფლავებსა და სასახლეებს გაუფრთხილდით, რომ ბრძოლის დროს არ დაშავდესო. პასუხად მიიღო, ჩვენ კი ვეცდებით, არა ევნოს-რა აკლდამებსა და სასახლეებს, მაგრამ, შესაძლოა, იაპონელების ყუმბარებმა დააზიანოსო.

მუკდენში არავინ იცის, რა მოხდება ამ დღეებში. ყველაფერი გაძვირდა. ყველა აღელვებულია. ხუნხუზები მოსვენებას არ აძლევენ ჯარის კაცებს, თუ სადმე მოასწრეს. ამ დღეებში დაიკარგა ყაზახი კილინი ცხენიანად. მეორე ყაზახი ცოცხალ-მკვდარი იპოვნეს, საშინლად ნაცემი.

—

უცხოელთა გაზეთების კორესპონდენტებს არა ჰგონიათ, რომ მუკდენთან დიდი ომი მოჰხდეს; შესაძლოა მხოლოდ რუსებმა უკანა ჯარი დასტოვონ, რომ იაპონელები შეაჩერონო. მუკდენთან ომს პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნებოდა, რადგან ჩინელები არასოდეს არ დაივიწყებენ თავის წმინდა ქალაქისა და სამეფო საგვარეულოს აკლდამების შელახვა-შე-

მუსვრასა, დღემდე რუსები სცდილობდნენ, ჩინელები არაფრით არ გაემწარებინათ და სამეფო აკლდამებთან მუდამ დარაჯი ჰყავდათ, რომ არავინ არ შეჰხებოდა (ნოვ.).

—

მუკდენიდან გამოქცეული ჩინელები ამბობენ, 25 აგვისტოს მუკდენში 40,000 რუსის ჯარი იყო. ყველანი ემზადებოდნენ წასასვლელად თელინისკენ და ბევრნი წავიდნენ კიდეც თავის ბარგით. გადაწყვეტილია, რომ მუკდენთან ომი არ იქმნება.

ხუნხუზებმა დიდი რაზმები შეადგინეს, რომლებიც ჩრდილოეთიდგან რუსებს მოსვენებას არ მისცემენ.

იაპონელებმა თავისი სამი ლაშქარი შეაერთეს და ისე გამოეზავნეს მუკდენზე, რომ რუსებმა ცალ ცალკე არ დაამარცხონ. რუსის კავალერიისა იაპონელებს სრულიადაც არ ეშინიანთ (რ. ვ.)

—

ტოკიოდგან იწერებიან, ვითომც რუსებს იმდენი სურსათი დაუტოვებიათ ლიაოიანში, რომ რავდენსამე დივიზიას საჰს თვეს ეყოფა. იაპონელებს დარჩენიათ 10 სამგზავრო ვაგონი მეორე კლასისა და ოთხი შეიარაღებული ვაგონი ლიაოიანში და შვიდიც უბრალო ვაგონი იანთაის (პ. ვ.).

—

„რეიტ. სააგ." იუწყება იაპონელებმა ლიაოიანში ადგილობრივ მცხოვრებლების ნდობა მოიპოვეს, ბაზრები დააარსეს და ომის გამო გამოცემულ ფასიან ქაღალდებს დაუბრკოლებლივ ავრცელებენ ფულის მაგიერო. (რ. ვ.).

—

ჩინელები ამბობენ, იაპონელებს პორტ-არტურთან დიდ სამსახურს უწევს აეროსტატი სანტოს-დუმონის სისტემისა. სასმელი წყალი უვარგისია და ავადმყოფობას აჩენს. გენერალ ნოგის განკარგულება მოუხდენია, ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ რუსებს, რაც შეიძლება, მეტი ტყვია წამალი დაახარჯვინოთო. (რ. ვ.).

—

ბერლინიდგან იწერებიან, აქ არა სჯერათ, ვითომც ჩინეთს განეზრახოს მოსთხოვოს რუსეთსა და იაპონიას, რომ მანჯურია დაუბრუნონ, როგორც მისი სამფლობელო. (პ. ვ.).

—

გაზეთ «ნეუე ფრ. პრესს» ატყობინებენ, ვითომც იაპონიისათვის საიდუმლოდ დაუმზადებიათ ჩრდილო-ამერიკაში რამდენიმე წყალში მავალი ნავ-გემი, რომელსაც სიგრძით 60 ფუტი აქვს და სიგანით—11. ნავს შეუძლიან 125 ფუტის სიღრმეში იაროს 24 საათი. პირველი ნავი ნოემბერში ასრულდება. ნავის ფასი 35,000 გირვანქა სტერლინგია. ნავების გაკეთება იაპონიას წარსულ ივლისში შეუკვეთნია, როდესაც გაუგია, რომ რუსეთიც აკეთებინებს ამ გვარ ნავებს გერმანიაში. (რ. ვ.).

—

პორტ-არტურიდან 28 აგვისტოს ჩიფუს მისულმა ჩინელმა სთქვა, რუსის ჯარის კაცები მხოლოდ შავის პურით იკვებებიან, წვნიანს საჭმელს იშვიათად აძლევენ. ხორცს მხოლოდ უფროს აფიცრებისათვის შოულობენ.

მტრედის ნავსადგურის ჩრდილო ნაპირს იაპონელებმა დიდი ფორტი ააგეს. (რ. ვ.).

—

### პორტ-არტურში.

პეტერბურგს დაბრუნებული რამდენიმე ოსტატ-ხელოსანი, რომლებიც გემების შესასწორებლად იყვნენ გაგზავნილნი. ერთმა მათგანმა შემდეგი ამბები მოიტანა პორტ-არტურის მეციხოვნეთა ცხოვრების შესახებ 20 ივლისამდე:

პირველად რომ იაპონელებმა პორტ-არტურს ალყა შემოარტყეს, ციხეში მცხოვრებნი ძალიან შეშინდნენ. გენერალ-სტესელმა ღონისძიება გამოიგონა ხალხის გასამხნევებლად: ყველა ჯან-საღი კაცი მილიციაში მიიწვია. შეგროვდა 2,400 კაცამდე. დაურიგეს იარაღი და დაიწყეს იარაღის ხმარების სწავლება და დღეში 1—2 საათს თოფის სროლას ანდომებდნენ. მართლაც, ყველა გამხნევდა და ზოგმა მათგანმა ჯარში ჩარიცხვაც კი ისურვა.

ქალებსაც საქმე აუჩინეს. ვისაც რა ეხერხებოდა, ისეთ საქმეზე დააყენეს: ზოგი დათა დასში ჩასწერეს, ზოგი მკერვლად, მრეცხელად, მზარეულად და სხვა. ამ რიგად ყველა მცხოვრებს შასაფერი საქმე გაუჩნდა და ყველა გრძნობდა, რომ ბევრად თუ ცოტად ისიც საჭიროა საერთო განსაცდელის დროს.

საექიმო ნაწილი პორტ-არტურში კარგად არის მოწყობილი. სწორედ ერთის დღის წინად, ვიდრე ალყას შემოარტყამდნენ, ორი მატარებელი მოვიდა, ერთი ტყვია-წამლისა, მეორე—საექიმო. მოიყვანეს 80 ექიმი და ფერშალი, რომლებიც დაჭრილ ავადმყოფების მოვლას დროზედ ასწრობენ. 20 ივლისამდე დაჭრილი იყო 5,000 კაცი, კერძო სახლებში დაბინავებული. 2,000 ჯარის კაციც იმ დროს უკვე მორჩენილიყო და თავის ჯარში იგზავნებოდა.

სანოვაგე და უმთავრესად პური ციხეში საკმარისია. გენერალ სტესელმა ფასი დააწესა, რომ ვაჭრებმა ხალხი არა ჰყვლიფონ; პურის საქმე-კი სამხედრო მოხელეებს ჩააბარა. ხორციც არის და ბოლოს დროს იაპონელებიც დაგვეხმარნენ: ეგონათ მოვატყუებთო და ფუგასებისკენ ერთხელ 180 თხა გამორეკეს, მეორედ 300 ძ ერთხელ ასზე მეტი მსხვილ ფეხი საქონელი. ფუგასები ვერ ააფეთქეს და საქონელი კი რუსებმა ციხეში შემორეკეს. ბოლოს დროს გენერალი სტესელ-ფეხი სახედრებსაც აკლევინებდა, რაკი საქონელი გამოილია. სახედრის ხორცს ცხენის ხორცის გემო აქვს და უფრო გემრიელიცაა. პორტ არტურში 3,000 ღორი იყო.

ბოსტნეულობა პორტ-არტურში პირველად იაპონელებს მოჰქონდათ, ჩინურად ჩაცმულ და ნაწნავ დაშვებულთ. ბოლოს ერთმა ფელდფებელმა მემწვანილე ჩინელში თავისი ნაცნობი იაპონელი იცნო, იაპონელებსაც თმა გაურზდიათ და ნაწნავები დაუგრძელებიათ ჩინელებივით, ასე რომ ძნელი საცნობია. ცრუ-ვაჭრები, რა თქმა უნდა დახოცეს და ვაჭრობაც მოისპო. მას შემდეგ ბოსტნეულობა ჩიფუდგან მოგვდიოდა.

ეტლით სიარული პორტ-არტურში მეტად ძვირია. სამს მანეთზე ნაკლებ ერთს ნაბიჯსაც ვერ გადაადგმევინებ. დღეში ერთი მეეტლე 50-60 მანეთს შოულობს. ქალაქში სულ სამასამდე ჩინური, ხელით სატარებელი, და ევროპიული ეტლია. ბრძოლის დროს ეს ეტლები, გენ. სტესელის განკარგულებით, ციხის გალავნთან უნდა იდგნენ და დაჭრილები ზიდონ უფასოდ.

ეხლახან სწერდნენ, ვითომც იაპონელებმა პორტ-არტურთან მდებარე ტბა მძოვრით მოშხამეს, რომ მეციხოვნეთ სასმელი წყალი არ ჰქონდეთო. ეს მართალი არ უნდა იყოს, რადგან იმ ტბის წყალს არავინა სვამს. ომი რომ დაიწყო, პორტ-არტურში და ციხის გარედ რუსებმა ორმოციოდე ჭა ამოსთხარეს და წყალი საკმარისი უნდა იყოს.

ერთს ჩინელს წამოსცდა, რომ ერთს ადგილს ჩინელებს ზარბაზნები აქვთ დამალულიო. მართლაც, პორტ-არტურიდგან 13 ვერსისა და ზღვიდგან 3 ვერსის სიშორეზე, მოსთხარეს და 300 ახალ სისტემის ზარბაზანი ამოჩნდა, 6—9 დუიმიანი, კრუპის ქარხნისა. ყოველ ზარბაზანთან 300—3,000-მდე ყუმბარაც იყო. ზარბაზნები კარგად შენახულია. იქვე თოფებიც იპოვეს, მაგრამ დაჟანგებულიყო და აღარ ივარგეს. ეს ამბავი მეციხოვნეებს ძალიან გაეხარდათ. იმავე ჩინელმა სხვაფრივაც დიდი სამსახური გაუწია რუსებს და ჯილდოდ ვერცხლისა და ოქროს მედლები მიიღო. შემდეგ კი იგივე ჩინელი რილასთვისაც დააპატიმრეს, ვითომ განგებ, იაპონელებმა არა ავნონ-რაო.

მეორე ჩინელმა ტრედის ფოსტა ალმოაჩინა. პორტ არტურს ახლო ერთი ჩინელების სოფელია, ტრედები მიფრინავდნენ ალყა-შემორტყმულ ციხეში და იქიდგან ცნობები მოჰქონდათ. ამ სოფელში 40 მცხოვრები იყო და ყველასა სცოდნოდა ეს ამბავი. რასაკვირველია, სოფლელები სულ გაჟლიტეს... (ნ. ვ.)

—

ლიაოიანის ომში დაუჭრიათ, სხვათა შორის: პორუჩიკი ალექსანდრე ირაკლის ძე მესხი, პოლკოვნიკი ბენედიქტე მოსეს ძე მელიქიშვილი, კაპიტანი ალექსანდრე ივანეს ძე კალლოიანი და კაპიტანი იოსებ ზურაბის ძე ოქროპირიძე (ნ. ვ.).

## ტ ფ ი ლ ი ს ი

—

გუშინ, ხუთშაბათს, 9 სეკდემბერს, შესრულდა სწორედ ორმოცი წელიწადი, გარდაიცვალა (1864 წ. სეკედმბერს) რაც ქართულ თეატრის დამფუძნებელი თავადი გიორგი ერისთავი. როგორც გადმოგვცეს, ქართულ წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა აპირებს ერთ-ერთი თავისი წარმოდგენა თავ. გ. ერისთვის ხსოვნას უძღვნას. წარმოდგენილი იქმნება მისივე ნაწარმოებნი შესაფერის აპოთეოზით.

*** ტფილ. სახაზინო თეატრში უკვე დაიწყო საოპერო რეპეტეციები. სეზონი დაიწყება 18 სეკდემბერს გლინკას ოპერით „Жизнь за Царя". როგორც ვიცით, წელს საოპერო ანტრეპრიზა აღებული აქვს მოსკოვს საიმპერატორო თეატრის არტისტს (ტენორი) ბ-ნ ლ. დ. დონსკოის, რომელსაც საუკეთესო მოამღერლები მოუწვევია.

*** როგორც ხმა დადის, პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი ტფილისში აპირობს ჩამოსვლას. მიტროპოლიტ ანტონის ტფილ. მოელიან კვირას, 12 სეკდემბერს. გორის ეპისკოპოსი ბენიამინი უკვე გაემგზავრა კისლოვოდსკს მიტროპოლიტის მისაგებებლად.

*** ხვალ, 11 სეკდემბერს, ავჭალის სახალხო თეატრში დაიწყება ქართულ წარმოდგენების სეზონი.

*** „Бак. Губерн. вѣдомости"-ში დაბეჭდილია: «15 აგვისტოდგან 3 სეკდემბრამდე ბაქოში საეჭვო ხოლერით ავად გახდა 10 კაცი. აქედგან 8 უკვე გარდაიცვალა».

*** სახელმწიფო კონტროლერმა, ინფანტერიის გენერალმა პ. ლ. ლობკომ, უკვე დაამთავრა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა საკონტროლო ნაწილის რევიზია. საზოგადოდ, გენერალი ლობკო კმაყოფილია რევიზიით, თუმცა შეუნიშნავს, რომ საკანტროლო ნაწილის მიერ შედგენილი ანგარიშები პეტერბურგს წარსადგენად ძლიერ იგვიანებსო. გენერალი ლობკო დაჰპირებია შემოსავალ-გასავლის განყოფილების უფროსს, რადგანაც მოხელენი საქმეებს ვერ ასდიან და ეს არის მიზეზი ანგარიშების დაგვიანებისა, მომავალ 1905 წლიდგან მოხელეთა შტატს გავადიდებთო.

*** სახელმწიფო კონტროლერი პ. ლ. ლობკო ბათუმს მიდის სარევიზიოდ, ხოლო იქიდგან ტფილისს დაბრუნდება და ბაქო-ბალაჯარის გზით პეტერბურგს წავა.

*** „კავკასიის კალენდრის" რედაქციამ სთხოვა საგუბერნიო სამმართველოს, დააჩქაროს ცნობების მიწოდება საგუბერნიო სამმართველოში მოხელეთა რაოდენობის შესახებ, რადგანაც კალენდრის ბეჭვდა 1905 წლისათვის უკვე დაიწყო და, თუ დროზედ არ იქმნა ცნობები მიწოდებული, დაგვიანდებაო.

## საქართველოს ამბები

—

ტფ. საგუბერნიო სამმართველომ მოსთხოვა ტფ. გუბერნიის ყველა სამაზრო ციხის ზედამხედველთ ცნობა, თუ რამდენი ტუსაღი იყო ყველა ამ ციხეში 1-ლ ენკენისთვემდე. როგორც საგუბერნიო სამმართველოს ანგარიშიდგანა სჩანს, გორის ციხეში ყოფილა 1-ლ სეკდემბრამდე 56 ტუსაღი, ახალციხისაში—35, სიღნაღისაში—71, დუშეთისაში—22 და ახალქალაქისაში—44.

ახალქალაქის მაზრის სოფ. კარზახსა და სოფ. როდინოვკაში საქონელს ყვავილი გასჩენია.

დუშეთის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი ფონ-ბაუმგარტენი დაბრუნდა დუშეთს და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

—

### ჟურნალ «მოგზაურის» პედაგოგიური ნაწილი.

(შემდეგი *)

მართალია, ძველად ჩვენში და სხვაგანაც მეტის მეტს ძალას ატანდნენ ზეპირობას, ხშირად მექანიკურად, სრულიად შეუგნებლად ასწავლიდნენ ისეთს რასმეს, რომლის მნიშვნელობის ახსნა-განმარტების შესახებ მოწაფე ვერაფერს გეტყოდა; დაკვირვებითის სწავლების უარყოფა ანუ შეუგნებლობა, მოწაფეს უხშავდა აზროვნებას, ჰხდიდა მას უაზრო არსებად, დამოკიდებულ მანქანად, აჩერებდა მოწაფეში სულიერ ძალთა განვითარებას და ამგვარი მეცადინეობაც, რასაკვირველია, ძალაზედ მოსაწყენი იყო, რადგანაც ერთის მხრივ ამისთანა მექანიკური და შეუგნებელი სწავლება წარმოადგენდა ნამდვილს, როგორც სულიერად, ისე ხორციელად წამებას. ჩვენში ძველ დროს (და შეიძლება ეხლაც ზოგიერთ მიყრუებულს უდაბნოში, მონასტრებში ასე სჩადიოდენ)—მისცემდენ მოროჩილს დავითნს ხელში და ათ ფსკვნილს, დაუნიშნავდენ საკითხავს აქედან აქამდის და იმდენი უნდა ეხეთქათ თავი შეუგნებელის კითხვით და ფსკვნილების ჩათვლით, სანამ დანიშნულ საკითხს თითქმის ზეპირად არ გაითქვებავდენ თავში. სა-

*) იხ. „ივერია" № 206.

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

### პატარა ცემი.

თუ სენი ვისმე შემოჰპარვია
და გულს ნაღველი ისრად სცემია,
მისთვის სამოთხე-სააგარაკოდ
და სამკურნალოდ მხოლოდ ცემია!.

—

ჰაერი წმინდა, გრილი და რბილი,
სუნნელ-კეთილად შეზავებული;
ირგვლივ ნაძვნარი,—ქარბუქის ფარი,
შუა—მინდორი აყვავებული!

—

მდინარე-წყალი, ჩუხჩუხ-მღერალი,
ვით უკვდავების წყარო კამკამი
და, აიაზმად გადმონასხური,
დილა-საღამოს ციური ნამი...

—

მიველ გაყრის დროს დღე და ღამისა,
როცა ნათელი ბნელს ეჯიბრება,
მაგრამ ძლეული ბუნების რიგით,
რომ შეისვენოს, დროებით ჰქრება.

—

იქვე მახლობლად მაღალ წვერვალზე
თავი ამოჰყო, გადმოდგა მთვარე,
ბურთი ციური სასუფევლისა,
გულ-სევდიანი... სხივ-მოისარე.

—

სტყორცა ნათელი, გამოაფხიზლა
ჩაფიქრებული იმ დროს მიდამო
და თითქოს ტკბილად უმახარობლა:
მადლი მოგიძღვნა მადლით ზეცამო.

—

შეირხენ შტონი ფოთოლთ შრიალით;
ყვავილოვანი ბიბინებს ველი;
მიმოჰქრის სიო, ჰგალობს ბულბული,
ქვეყნად გადმოდის სასუფეველი.

—

გამმსჭვალა მეც ამ სანახაობამ,
ბრძმედში გამავლო და გადამცვალა,
სული ამაღლდა რა საზენაოდ,
ხორცს საამქვეყნოდ ემატა ძალა!

—

და ვსთქვი: ბუნებავ ძლევამოსილო,
თვით ჯანიოსი შენ ხარ მკურნალი
და ხელის შემწყობ მხოლოდ მასალად
ექიმები და რეცეპტ-წამალი.

ჰაკი.

—

### მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი.

დრამა ოთხ მოქმედებად.

(შემდეგი *)

გამოსვლა მეოთხე.

(გამოდის სოსიკო აივანზედ).

სოსიკო. ძია, ბებიკო გეძახით.

ილიკო. ოჰ! გაიღვიძა უკვე? ცოტა ხნით მიგატოვებ, ლუარსაბ, მაპატიე.

ლუარს. არა გცხვენიან, რა გაქვს ჩემთან საბოდიშო, ნუთუ მართლა დაგშორდი?

ილიკო. რაც უნდა იყოს, დიდი კაცი ხარ. (ოდნავ ღიმილით მიდის, სახლში აანთებენ სინათლეს, მთვარეც ამოდის თან და თან. სცენაზე მარტო ლუარსაბია. ჯერ ღრმად დაფიქრდება, მერე სცენის სიღრმისკენ გასწევს და ისევ დაბრუნდება.

ლუარს. (გაჩერდება ხეივანთან). Охъ, какъ душно здѣсь! ღმერთო, როდის მოვშორდები ამ ახირებულ ოჯახს! საგიჟეთია, ნამდვილი საგიჟეთი! (ცოტა დაფიქრდება) ჩემი გამოცანის გასაღები ხელში მიჭირავს. ისე ოსტატურად დავუწყე ლაპარაკი, რომ ვერას მიმიხვდა და ყველაფერი ერთბაშად წამოროშა. ეჭვი არ არის, ერთმანეთი უყვართ და, დროზედ რომ არ მიმეგნო კვალისათვის, უსათუოდ ხელიდგან გამისხლტებოდა ჩემი წიწმატა, ჩემი უკარება მზეთუნახავი. ხა, ხა, ხა! ვერსად ვერ წამიხვალ, ვერა, ტურფავ, მაგრამ ურჩო, ლუარსაბ არ არის დაჩვეული ამ გვარ შემთხვევაში დათმობას. დაგიჭერ და უცბად ამოგაცლი გულიდან იმ შენს მისურმებას ფანტასტიურ იდეალისაღმი. დავბღუჯავ მაგრად და იმდენს გწუწნი, მანამ სულ არ გამოიფიტები. რა სეირია და! ლამაზი მული და რძალი! ხა ხა, ხა! ორივე საყვარლები. ერთი კანონიერი, მეორე—უკანონო! ერთი ერთ გვერდზე, მეორე—მეორეზე! ერთი სიტყვით, სანამ დრო გაქვს, სთალე და სთალე ცხელ-ცხელი დუმები, ლუარსაბ დიმიტრიჩ (უეცრივ მოიღრუბლება). ყოველივე ეს მაინც სიზმარსა ჰგავს. უარი მითხრას ქალმა მე, ინჟენერ გელოვანიძეს. მდიდარს, განათლებულს, გავლენიანს, მიღებულს დიდკაცობაში!? ეს განხორციელება სევდისა და სიმკაცრისა, მენაბდიშვილი, ამჯობინოს? რასა ჰგავს ესა? განა სასწაული არ არის, რომ ამ ფულით საზომ დროში გასათხოვარმა და ისიც ქართველ თავადის ქალმა ასე გაბედვით უარ-ჰყოს ფუფუნება და მიუწდომელ იდეალებს გამოუდგებს? ქალმა უარი მითხრა ცოლობაზე, ამ ვაჟბატონმა ჩემ საქციელს ქარაფშუტული და ჩემ გრძნობას ორგროშიანი უწოდა. ოჰ, რა საშინლად შეურაცხყოფილი ჩემი ღირსება! მაგრამ შეჩერდი, გულო! რა გენაღვლება, გამარჯვება ბოლოს ხომ მაინც შენია! გარდაწყდა, მაგ საქმეს კუბოს კარამდის უნდა მივსდიო. ჯერ არა ქალს არ გაუმარჯვნია ჩემზე და არც კვლავ გაიმარჯვებს.

გამოსვლა მეხუთე.

(გამოდის სოსიკო).

სოსიკო. ბატონო, მობრძანდით სახლში, ჩვენი ბიბლიოთეკა და კოლექციები დაათვალიერეთ.

ლუარს. მართლა! რა მადლობელი დაგრჩებით! (გაემართება. მთვარეც სულ გაანათა არე-მარე).

გამოსვლა მეექვსე:

(გამოდის ოლინკა, ხელში თეთრი სუფრა და ჩაის იარაღი უჭირავს. სტოლს აწყობს ხეივანში).

ოლინკა. სოსიკო! ა, სოსიკო!

სოსიკო. (ფანჯრიდგან) რა გინდა?

ოლინკა. გამოიტა პატარა ლამპარი (სოსიკო გაბრუნდება და მალე ლამპარსაც გამოიტანს და დასდგამს).

სოსიკო. იცი, ოლინკა, რა მოვიფიქრე?

ოლინკა. აბა, რა?

სოსიკო. ტასოს საქმროს მივულოცოთ ამაღამ მე და შენ და წყვილი ვარდის კონა ვუძღვნათ. კარგია?

ოლინკა. ძალიან კარგი! (სოსიკო მიდის).

გამოსვლა მეშვიდე.

(შემოდის ილიკო, გამოაქვს აჩუხჩუხებული სამოვარი და მაგიდის ერთ კუთხეში მოსდგამს).

ილიკო. (ოლინკას) აბა, ახლა შენ უპატრონე აქაურობას, ჩემო პატარა დიასახლისო. (ხელებსი ბერტყავს, უცებ რაღაც მოაგონდება და სახლისაკენ გასწევს. მივა რა აივანთან, სოსიკოც გამოჩნდება და შეჩერდება). კაცო, რა უყავ პური, ხილი, სანთლის არაყი? აბა, ჩქარა, დედას შალი მოახურე, ცოტა აცივდა, ვგონებ. (სოსო გაბრუნდება, ოლინკა რაღაცას ფუსფუსებს, ისმის ჭურჭლის ჩხარუნი. ამ დროს გამოჩნდება სცენის სიღრმიდგან მომავალი სამხედრო ექიმი ე. ზ. გრუშნევსკი. 60 წლისა, დაბალი, სულ გაჭადარავებული ძლიერ სახე მოქანცული მოხუცი. აცვია საზაფხულო სადა რაგოჟის მუნდირი, გახუნებულ პაგონებით. ისეთივე სადა სამხედრო შარვალი, უშნო სამხედრო წაღები, კაკარდიანი ქუდი უშნოდ აქვს ჩამოფხატული თავზედ. მხრებზედ პატარა აბგა აქვს გადაკიდებული, ხელში დიდი ჯოხი, თხელი წვერ-ულვაში აქვს, წელში მოხრილია ცოტათი. ლაპარაკი, მიხვრამოხვრა ცოცხალი აქვს და კომიკური).

გამოსვლა მერვე.

გრუშნევ. გამარჯობა შენი, მოუსვენარო კაცო!

*) იხ. ივერ. № 209.

ბრალო დიაკვნებს იმ ნუგეშს აძლევდნენ და აგონებდნენ, რომ მართალია, «სწავლის ძირი მწარე არის, მაგრამ კენწეროში გატკბილდებისო». ძნელი საფიქრებელია, რომ ამნაირად ტანჯულს მოწაფეს შესძლებოდა ოდესმე ტკბილი ნაყოფის ხილვა და გემოვნება. ასე იყო ალბად სხვა ქვეყნებშიაც ძველ დროს. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ ყოველგან აღმოჩნდნენ ამისთანა უაზრო ზეპირობის მოწინაალმდეგენი, რომელთაც დაჰგმეს და ჩათვალეს იგი მავნე და სამარცხვინო, ანტიპედაგოგიურ საშუალებად.

ზეპირი სწავლა, თუ ზოგიერთი საჭირო ვითარება დაცული იქმნება, სრულიად საშიშარი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ზეპირადა ნასწავლით ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში უფრო თავისუფლად სარგებლობენ, მოგონება ხშირად ჰღალატობს, თუ საჭირო ცოდნა მკვიდრად შეთვისებული არ არის — ზეპირად და შეგნებით დასწავლილი იშვიათად მიეცემა დავიწყებას. არც ერთი დიდებული პედაგოგთაგანი, კომენსკიდან დაწყებული, არ ყოფილა ზეპირ სწავლების მოწინაალმდეგე. წინაალმდეგნი იყვნენ და დღესაც ბევრნი არიან იმისი, რომ ეს ხერხი სწავლებისა ბოროტად არ მოეხმარათ. თვითონ პესტალოცი ხშირად მიჰმართავდა ზეპირ სწავლებას. ცნობილი პედაგოგი დისტერვეგი, რომელიც წინაალმდეგი იყო სწავლების მექანიკურად წარმოებისა, თავის თავზე ამბობს: я во все не врагъ заучиванія наизусть вообще, я самъ радуюсь тому, что помню прекрасныя изрѣченія и возбуждающія хорошія чувства пѣсни».

ამბობენ, რომ თუ ბავშვს ესმის გაკვეთილის უმთავრესი აზრი, ეცოდინება კიდეც და, მაშასადამე, ზეპირობა ზედმეტი უსარგებლო და მავნებელი ბარგიაო, მაგრამ არც ეს არის სავსებით მართალი: ცხადი წარმოდგენაც რომ ჰქონდეს ბავშვს რომელისამე საგნისა, ხშირად მაინც არ შეუძლიან ადვილად და თავისუფლად მისი სიტყვიერად გამოთქმა, რადგანაც ყველა შეთვისებული, შეგნებული და გონებაში წარმოსადგენი ცოდნა მისს გამოსახატავად საჭიროებს სიტყვას, ცნობათა გარეგან ფორმას გონებაში დასამკვიდრებლად და ადვილად წარმოსათქმელად. ეს კი მარტო სიტყვიერად სწავლებით, სახელმძღვანელო-წიგნების დაუხმარებლად, სიმკვიდრეს მოკლებული იქნება. ვინც დაჰკვირვებია ბავშვების ცხოვრებას და მისს პსიხოლოგიას, ადვილად შეჰნიშნავდა, რომ თვით ბავშვის ბუნებაც ითხოვს ზეპირ სწავლებასაც. ბავშვებს ყველაზე უფრო გვიან მექანიკური მეცადინეობა მობეზრდებათ ხოლმე. რომელისამე საგნის საფუძვლიანად შესწავლა ბავშვების მიერ შეუძლებელია, თუ სწავლების დროს არ იქმნა დაცული სხვა და სხვა ფერობის ვარაუდი; უამისოდ ბავშვებს ხშირად მოსწყინდებათ ხოლმე, სწავლა არ ახალისებს, ტვინი ექანცებათ და მუშაობაზედაც ხელს იღებენ. ამისთანა მდგომარეობაში მყოფი ბავშვები ხშირად ძალიან წყნარადაც სხედან თავიანთ ადგილს, შესცქერიან მასწავლებელს, მაგრამ არაფერი-კი არ ესმით, მაშინ როდესაც ამ დროს წერა იქნება, ხატვა, თუ გაზეპირება, როგორც საზოგადო მექანიკურს სამუშაოს სრულიად დაუღალავად და სინიდისიანად ჰკიდებენ ხელს. ასეთია ყველა ბავშვის ბუნება და ამისთვისაც ბავშვობა ყველაზე უფრო საუკეთესო დროთ მიაჩნიათ იმისთანა ცოდნის გადასაცემლად, რომელიც ითხოვს სიტყვა-სიტყვით გაზეპირებას. პირიქით, ისეთი სწავლება, რომელიც ითხოვს ბავშვებისაგან დიდის ხნით გაძლიერებულ ყურადღებას, აზროვნებას და მასთან უარყოფს ყველა მექანიკურ სავარჯიშო, მავნებლად უნდა ჩაითვალოს მოწაფეთათვის, მათის ბუნებისათვის, რადგანაც ამისთანა წესი აუძლურებს: ბავშვის ტვინს, უკარგავს სწავლის ხალისს და საზოგადოდ ჰღლის და ჰქანცავს მოწაფეებს.

ყველა გამოცდილი მასწავლებელი, ვისაც საქმე ჰქონია ბავშვების სწავლებასთან, ადვილად შეჰნიშნავდა, რომ პატარა მოწაფეებს დიდხნობით ყურადღების მიპყრობა რომელისამე საგნისადმი არ შეუძლიანთ, ხშირად 10 ან 15 წუთის შემდეგ ყურადღება ბავშვებს უსუსტდებათ. ამ შემთხვევაში ერთი სასწავლო საგანი, სამუშაო შეცვლილი უნდა იქმნას მეორეთი, მაგრამ, რადგანაც ბავშვებს დიდი მოსწრაფება აქვთ მექანიკურ მუშაობისადმი, ყველაზე უფრო სასარგებლო იქნება, ზოგჯერ მაინც, ეს დრო მოჰხმარდეს ზეპირ სავარჯიშოსაც, რომელიც, სერიოზულის მეცადინეობის შემდეგ, წარმოადგენს ერთგვარს შრომის შემსუბუქებას, დასვენებას; ასეთი შემსუბუქება დაიხსნის მოწაფეებს გაკვეთილებზე მოწყენისა და დაღლილობისაგან. ზეპირად შესწავლა ყოველის მხრით ახსნილისა და განმარტებულისა საზეპირო მასალისა საჭიროა ცოდნის მტკიცედ და მკვიდრად შეძენისათვის, ხოლო შეცვლა სულიერისა და მექანიკურ მოქმედებათა სწავლებას ჰქმნის ბუნებრივად.

ლ. ბოცვაძე.

(დასასრული იქნება)

## „ივერიის“ ფოსტა

**ს. ფესი. ბ-ნს მ. კ—შვილს.** თქვენი ლექსებს: „ტანადად ძვირ ფასი რამ ხარ“ და „არ ვეტრფი მე შენს შავ თვალებს“ არ დაიბეჭდება.

**ფოთი. ბ. კე—შვილს.** არც თქვენი“ ნაწყვეტი» დაიბეჭდება. კორესპონდენცია—კი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 სეკტემბერი.

**ხაბაროვსკი.** აქ მოსულ სანიტარულ მატარებლებს დაჭრილებით თვით გენერალი ლინევიჩი დაუხვდება ხოლმე და მამაშვილურის მზრუნველობით გამოჰკითხავს ამბავს თვითოეულს ჯარის-კაცსა.

**ვაშინგტონი,** (რეიტერი). «ლენის» აფიცრებს და მეზღვაურთ მიეცათ თავისუფლება სან-ფრანცისკოში ყოფნისა, მაგრამ ომიანობის დროს ქალაქ გარედ ვერ გავლენ, სამშობლოში ვერ დაბრუნდებიან იქნამდე, მინამ რუსეთსა და იაპონიას შორის შეთანხმება არ მოხდება.

**ჩიფუ.** (რეიტერი). თავადი რაძივილი ამბობს, პორტ-არტურს კიდევ 6 თვეს შეუძლიან მოიგეროს მტერი. რაძივილი და კიდევ ერთი ოფიცერი დაუყოვნებლივ მიდიან და მიაქვთ სტესსელის პასუხი ხელმწიფე იმპერატორთან. სტესელი ამბობს, მეციხოვნეთ იმედი აქვთ მიშველებისა, მაგრამ მაინც მზად არიან მთლად გასწყდნენ. როგორც პორტ-არტურელ აფიცრებისაგან, რომელთა ცოლები ჩიფუში ცხოვრობენ, გამოგზავნილ წერილებიდან სჩანს, ლიაოტეშანის ფორტში დადგმული ზარბაზნები სულ გაფუჭდა მეტისმეტი სროლისაგან. რუსებმა ნაღმები ჩააწყეს ფორტის წინ, დასავლეთად ოთხი ვერსის მანძილზე.—ხმა დადის, იმ გემმა, რომელიც ზოვით ალყას გაეპარა, მოიტანა პორტ-არტურში დაშლილი წყალქვეშ მავალი ნავი. ქალაქში ვერ იშოვეს ინჟენერი, რომელმაც იცოდეს ნავის მექანიზმი, მაგრამ «პერესვეტის» მეზღვაურთ იკისრეს იმისი გაკეთება და პატრონობა. საჭმელ-სასმელი ჯარსა, თუმცა უხვად არა, მაგრამ საკმაოდ კი აქვთ.

**პეტერბურგი.** გენერალ სტესელის დეპეშები მისს უდიდებულესობის სახელზე 1) 28 აგვისტოს თარიღით: «მტერი ჩვეულებრივად ყოველ დღე ესვრის ზარბაზნებს ფორტებს, ბატარეებს და შიგნით ციხესა, მაგრამ ჯერ ნამდვილ საქმეს იაპონელნი არ შესდგომიან. დაჭრილნი რჩებიან და იწვევენ ისევ საბრძოლველად. 2) 3 სეკტემბრის თარიღით: «დღეს, ღამით, სამი საათი იქნებოდა, ესე ერთმა მტრის ბატალიონმა იერიში მოიტანა წყლის საყვან რედუტზე. მეციხოვნეთ მტერი გააბრუნეს. იმათ დაიწიეს, მაგრამ ნახევარ საათის შემდეგ მოეშველნენ და კვლავ თავს დაგვესხნენ. მაგრამ არტილერიის შემწეობით ეს მეორე იერიშიც მოიგერეს. განსაკუთრებით თავი იჩინა პოდპორუჩიკმა ფილოპოვმა, რომელმაც საოცარი ვაჟკაცობა გამოიჩინა. ამაზე ბედნიერება მაქვს მოვახსენო თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას». — უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე 6 სეკდემბერის თარიღით: 4 სეკდემბერს დავზვერეთ ძალიან მუყაითად მტრის პოზიცია ვიანიუპუძთან. აღმოჩნდა რომ ძრიელ გამაგრებული იყო და იდგა ერთ ბრიგადამდე ჯარი. ამ ადგილის დასავლეთად ყაზახებმა ნახეს იაპონელთა დაბარგული ცხენები და 30 ცხენი მოსხლიტეს ბარგითა. იმავე ადგილს აღმოსავლეთად-კი მტერი არ გვინახავს. 5 სეკდემბერს წინ არ წამოუწევია, მაგრამ შევნიშნეთ, რომ სოფ. ვიანიუპუძის მიდამოებში მოდის ჯარები. ლიაოიანიდან მტრის უმთავრესი ძალა უკვე გაღმოვიდა თაიხიძეს მარჯვენა ნაპირას. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას.

**პეტერბურგი** უმთავრესი საზღვაო შტაბის მოხსენება 7 სეკდემბრის თარიღით: «როგორც პორტ არტურიდან მოვიდა ცნობა, 11 აგვისტოს მუშაობის დროს, როდესაც რეიდიდან იღებდნენ იაპონელთაგან ჩაყრილ ნაღმებსა, დაიღუპნენ ლეიტენანტები: რიხტერი 1-ი და კაპერინინოვი და დაიჭრნენ დრახენფელსი უმცროსი და ინჟინერ-მექანიკოსი ბრუნსი მე-2.

**ჩიფუ,** (რეიტერი). 19 დღის განმავლობაში იაპონელები ემზადებოდენ პორტ-არტურზე იერიშისათვის. იერიშს აზრად ის ჰქონდა, რომ აელოთ ციგუანშანი და ერლუნშანი და იმათ შუა მდებარე ფორტები. აგვისტოს გასულს იერიშები 10 დღეს გაგრძელდა და უფრო საშინელი ბრძოლა იყო უკანასკნელ სამს-ოთხ დღეში. იაპონელთ უკან დაიწიეს, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს ოთხი მეორე ხარისხოვანი ფორტები. ორი მათგანი სულ ახლოა ერლუშანიდან, სხვები კი ცოტა მოშორებითაა. 18 აგვისტოდან იაპონელებს სულ აღარ უსროლიათ რუსის პოზიციებისათვის, მაგრამ ციხიდან კი ყოველ დღე ათას-ათასს ყუმბარას ესროდენ უფრო ამ ოთხს პოზიციას იაპონელებისას ყოველ ღამე ციხიდან ჩუმად გამოდიან პატარ-პატარა რაზმები, რომ აღნიშნული პოზიციები უკან დაიბრუნონ, მაგრამ ცდა ფუჭად მიდის. როგორც დალნიდან აქ მოსულნი იაპონელნი ამბობენ, იაპონიის ჯარი დიდის პატივით უცქერის პორტ-არტურის ჯარის სიმტკიცესა. ისინი გრძნობენ, რომ თუ აიღებენ ერლუშანს და სხვა ფორტებს, ამით მხოლოდ ერთ ნაბიჯს წასდგამენ წინ პორტ-არტურის დასამხობად. რუსები არ ელიდნენ იერიშს ოკდომბერზე ადრე, რადგანაც იაპონელნი ცდილობდნენ მძიმედ წაეწიათ წინ, მაგრამ ნამდვილად აგვისტოს გასულს ციგუანშანის აღების გამო ბრძოლა იაპონელებს ერთ პოლკად დაუჯდათ. ეს ამბავი ნამდვილად დამტკიცდა და იმის მაჩვენებელია, თუ რამდონად მძიმეა იაპონელთათვის პორტ-არტურის აღება.

**პარიჟი.** მუკდენიდან მოსულის დეპეშის თანხმად, ეხლახან იქ მისულა გენერალ აფანასოვიჩის უფროსობით 22-ე დივიზია, როგორც ფიქრობენ, თელინს გაიგზავნება, [illegible] მუკდენში დარჩება.

**რომი.** [illegible] ბიან, მუკდენზე მოდის 300 ათასი ჯარი 850 ზარბაზნითა. კუროკის ლაშქარს ორი დივიზია მიუმატეს.

**შანჰაი.** 7 სეკდემბერი (რეიტერი). დღეს იერიშში პორტ-არტურზე იაპონიის ფლოტმაც მიიღო მონაწილეობა. 7 სეკდემბერს დილით იაპონელებმა აიღეს თითო ფორტი შიეიცზიანის ორსავე მხრივ.

**ლონდონი.** (რეიტერი). იაპონიის მისსია იუწყება, რომ კუროკიმ დავლად აიღო 20 ტონნი ნახშირი.

**ბელგრადი.** (ბიურო). გერმანიის და საფრანგეთის ელჩებმა დღეს ჩააბარეს მეფესა საკუთარი წერილები იმპერატორ ვილჰელმისა და პრეზიდენტ ლუბესი, ხოლო ბოლგარიის მისსიამ—წერილი ბოლგარიის მთავრისა.

**ხარბინი.** (საკ. კორესპ.). როგორც ამბავი მოვიდა, 4 სეკდემბერს ჩვენებმა დაზვერეს იაპონიის ჯარის სადგომნი ბანიუპუძასთან, საზვერად ორი რაზმი იყო გაგზავნილი რენენკამფის და სამსონოვის უფროსობითა. დაზვერამ აღმოაჩინა, რომ პოზიცია პანიუპუძთან ძლიერ გამაგრებულია დიდის რაზმითა. დაზვერვის დროს რენენკამფის და სამსონოვის რაზმები ერთად მოქმედობდენ. შუა დღისას რენენკამფი მივიდა სოფ. ხუაძიალინთან, გააბრუნა იაპონელთა წინა რაზმი და დაიჭირა სიმაღლეები; სოფლის აღმოსავლეთად რაზმმა დიდი სროლა გააჩაღა მტერთან, რომელმაც ოთხი როტა გამოგზავნა წინა. რაკი რაზმმა თავის ვალი შეასრულა, რენენკამფი მეორე საათზე უკან დაბრუნდა. სამსონოვის რაზმი მთა-მთა მიდიოდა აღმოსავლეთად ფინდიაგუსკენ; მოახერხა მიდამოები დაეჭირა და იმ დროს, როდესაც იაპონიის როტები რენენკამფის რაზმის წინაალმდეგ წამოვიდნენ, მოასწრო ორის ზარბაზნით დაეშინა ყუმბარები და შეაყენა იაპონელთა წინ სვლა. ხუთი საათი იქმნებოდა, რომ უკან დაბრუნდა.

**ვალეჯო.** (კალიფორნია). 6 სეკდემბერი. (რეიტერი). «ლენა»-ზე ზარბაზნები ახსნეს, სამხედრო მასალას ხვალ გადიტანენ.

**ტოკიო.** (რეიტერი). მანჯურიის ლაშქარის უმთავრეს სადგურიგან დეპეშით იუწყებიან, დღეს სამხედრო დავლის გაშინჯვის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ იაპონელებმა აიღეს ლიაოიანის ვაგზლის ახლო 253 სახლი და 214 საქონლის საწყობი. ამას გარდა იაპონელებს დარჩათ 18 ათასი სალალო ქერი, ბრინჯი, პური და ფეტვი, 130 ფუთი ნავთი, 18 ათასი ყუ-

---

ილიკო და ოლინკა. ააა!

ილიკო. ამას ვისა ვხედავ?... ევგენი პავლეს ძევ!

ოლინკა. ჩვენი პაპოჩკა! (ხელს ჩამოართმევს). რა კაი დროს გვეწვია, პაპა.

გრუშნ. (აჯავრებს). ლა კაი დროს გვეწვია პაპა! ჩამომართვი ეს ბარგი, შე ცელქო, შენა. (მიაწვდის. ოლინკა გამოართმევს და ცოტა მოშორებით ძირს დასდებს). ერთი ჩემ გამხმარ ძვლებსაც ჰკითხე, რა დღეშია...

ილიკო. ოლინკა! გასწი, სოსო გაგზავნე, ჯორს ბინა უნახოს და ბალახიც დაუყაროს.

გრუშნ. მე დღეს ფეხით მოველ.

ილიკო. ჰოო? მაშ კარგი!

გრუშნ. როგორ არის დედაშენი( (ჯდება და ჩიბუხსაც გააჩაღებს).

ილიკო. ცოტა უკეთ. წასულ შაბათს არ მეგონა, თუ გამობრუნდებოდა, მაგრამ თქვენ ხომ სასწაულს ახდენთ მუდამ, ჩვენო ძვირფასო ექიმო!

გრუშნ. წევს?

ილიკო. იწვა და ეხლა ჩვენთან გამოვა.

გრუშნ. არ შეიძლება სახლში გაჩერდეს? ერთი რომ ნაწვიმარწედ ნიადაგი ჯერ ისევ სველია. მეორედ—ბევრი ლაპარაკი ავუკრძალე.

ილიკო. ეგ ყოვლად შეუძლებელია, თავს მოიკლავს, უარესად გახდება. ხომ იცი, ამ ბოლოს დროს რა ჟინიანი შეიქმნა.

გრუშნ. Ни, ни, ни! Никакихъ! ჩემთან ეგენი არ გამოდგება. შენ რა გადარდებს, მე ვიცი და იმან. თუ მაინცა და მაინც თავისას არ დაიშლის, აივანზედ დაუდგით სკამი და იქიდგან გვიყუროს.

ოლინკა. რა არის, პაპა, რომ მუდამ ასე უჯავრდებით ხოლმე?

გრუშნ. (სწრაფად მიბრუნდება მისკენ, თვალებზედ ხელებს მიიფარებს და სასაცილოდ დაიკუზება, თითქოს უნდა გაარჩიოს, ეს რა ბუზი მელაპარაკებაო). ვინაა ეს ას თავიანი, ნეტა ვიცოდე, დამანახვეთ ერთი, დამანახვეთ. (ახლო მიიწევს). ააა! რაო, რაო, თქვენო პატიოსნებავ? ხომ არ გინდა, შენმა პაპამ ორივე გაგწკეპლოთ, ბებიაცა და შვილი-შვილიცა. (აბგას შეჰნიშნავს მიწაზედ მიგდებულს და შეუყვირებს). ეს სად დაგიგდია, გოგო?

ოლინკა. უი, დამიდგეს თვალები! (სტაცებს ხელს და გარბის, მოხუცი ექიმი დაედევნება ფეხების ბრახუნით).

გრუშნ. სახლში ჩქარა, სახლში მეთქი, შე ეშმაკო, შენა! ტიტინსაც რომ მიბედავს?! (ოლინკა იცინის, მივა რა ოლინკა კარებთან, შეაჩერებს ექიმი) ოლინკა!

ოლინკა. ბატონო!

გრუშნ. შენ თითონ, ბატონო, თუ კარგია. პირსახოცი და საპონი მომიმზადე იქ, წყაროს პირს. თუ პირი არ დაიბანა, ხომ იცი, შენი მეგობარი არ მოისვენებს.

ოლინკა. ამ საათში, ბატონო, ამ საათში! (შედის სახლში).

გამოსვლა მეცხრე:

(გამოდის ლუარსაბი).

ლუარს. (გამოსვლისას). Илико, у тебя богатѣйшая библіотека! (დაინახავს რა გრუშნევსკის, უეცრივ შეჩერდება). ბატონო ექიმო, ევგენი პავლოვიჩ, საიდგან სადაო?! (ჩამოირბენს აივნიდგან და მოწიწებით ხელს ჩამოართმევს, უმზერის და ეუბნება). აი რუსი, რომელიც ქართველების გასარუსებლად გამოჰგზავნეს და თითონ კი გაქართველდა! (შეუშვებს ხელს).

გრუშნ. უკაცრავად, ბატონო ინჟენერო, მე ექიმი ვარ და არა ერის დასამახინჯებლად მოწოდებული. ჩემი ნიადაგი მეცნიერულ სფეროშია. (წაპრაკუნდება წყაროსკენ).

ლუარს. გეხუმრეთ, ევგენი პავლოვიჩ, გეხუმრეთ! ხა, ხა, ხა,! (ილიკოს). არ შემხვედრია ჯერ ამ ხნის კაცი და ასეთი ცოცხალი, ხალისიანი! Прямо таки удивительная личность!

ილიკო. ოოო! ევგენი პავლოვიჩი სულგრძელი კაცია. აი საზოგადო მოღვაწე, აი ხალხის მოკეთე ექიმი!

ლუარს. რამდენი წელიწადია, რაც ჩვენს ქვეყანაშია?

ილიკო. თითქმის ოცდა ხუთი, მას შემდეგ რაც დრუჟინა გადმოიტანეს საწაბლიანის მინდორში.

ლუარს. Здорово! ქართულიც რა ჩინებულად უსწავლია! რა კარგი იქნებოდა, რომ არა ლოთობდეს. მიკვირს, როგორ გასძლო აქამომდე.

ილიკო. როგორც ყველა ფერს, მაგისთანაობასაც თავისი მიზეზი აქვს. ლოთია, მაგრამ კარგია.

ლუარს. როგორც ექიმი როგორია?

ილიკო. დაუფასებელი. სუსტიც რომ იყოს, თავის სამაგალითო მოპყრობით სულს ჩაუდგამდა ავადმყოფს; ამას გარდა, ღრმად მცოდნეა მედიცინისა, შესანიშნავი პსიხოლოგიცაა.

ლუარს. მაშ, პრაქტიკა დიდი ექნება, კაპიტალის პატრონი გახდებოდა.

ილიკო. პრაქტიკა აქვს და ფული კი ცალი კაპეიკიც არ გაჩნია.

ლუარს. რატომ?

ილიკო. ღარიბებს უფასოდ სწამლობს და, რადგან ჩვენში სულ ღარიბები არიან, იმიტომ მარტო თავის ჯამაგირითა სცხოვრობს და იმასაც ერთ მოსწავლეს უყოფს შუაზე.

ლუარს. Браво, старина, браво! ამ ლოთობამ განა არ დაუკარგა ნდობა ხალხის თვალში?

ილიკო. ხალხი იცნობს მაგას. ულვინოდ ავადმყოფს ვერ მიეკარება. თუ არ შეთვრა, დიაგნოზს ვერ მოახერხებს.

ლუარს. ამ სახელმწიფო ქსენონის დაარსებამ ხომ შეუმსუბუქა შრომა?

ილიკო. სრულებითაც არა. კლინიკაც რომ გადმოიტანონ აქ პეტერბურგიდგან, ექიმი პაპა გრუშნევსკი მაინც უსაჭიროესი მალამო იქნება ხალხის წყლულისა. ჩვენი ქსენონი და ექიმი ფონ-ბილერი ხომ ცარიელი ფორმალიზმია.

ლუარს. როგორ, განა ფონ-ბილლერი ცუდი ექიმია?

ილიკო. ექიმისთვის საჭიროა ადამიანის მოყვარული გული და ჯეროვანი მომზადება. ფონ-ბილლერი-კი, ავანტიურისტია. ხალხი ეზიზღება, ძონძებში «გამოხვეულ ღარიბ-ღატაკთ ცინგებს» ეძახის. თვით კი უარესი ღატაკია სულითა და გრძნობით. დიდი არაფერი ცოდნა აქვს და ხასიათიც არ უვარგა.

ლუარს. ისიც გემდურის შენ.

ილიკო. უნდა მემდუროდეს.

ლუარს. ნუთუ სულ არა გაქვს შეფერების უნარი?

ილიკო. მჩვარი ხომ არა ვარ, ბრუნდსა და მართალს შევეფერო.

ლუარს. მაშ, როგორ შესძლებ საზოგადოების გარეშე ცხოვრებას?

ილიკო. საზოგადოება მარტო ბილლერებისა და სხვათა გაიძვერათაგან როდი შესდგება.

გამოსვლა მეათე.

გრუშნ. (გამოჩნდება ექიმი, რომელსაც მუნდირისა და ჟილეტის ღილები სულ ღია აქვს, პირსახოცით ყურებს და კისერს ისრესავს) ილიკო, ღვინო მომიმზადე.

ილიკო. ბატონი ბძანდებით! (მივა მასთან) მიბოძეთ ეს პირსახოცი (ისიც გადასცემს, ილიკო აივნის მოაჯირზედ გადაჰკიდებს და გადასძახებს). ჩვენ მზადა ვართ. (პაპა მიუჯდება მაგიდას, თმას ივარცხნის და რაღაცას ებურჩულება ლუარსაბს.

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

თი შაქარი, 166 ტონნი ნახშირი და დადგმული შუშა საქონბითა.

**სეული.** (რეიტერი). გენერალი ხარაგუში, რომელიც კორეაში მყოფ ჯარებს უფროსობს, ტოკიოს დაიბარეს.

**ჩიფუ.** (რეიტერი). როგორც ნამდვილად იუწყებიან, გუშინ გათენებამდე დაიწყო პორტ-არტურის საერთო იერიში. ნიშნებია, რომ იაპონელნი ცდილობენ აილონ უმთავრესი ფორტი ჩრდილო-აღმოსავლეთად.

**მუკდენი.** იაპონიის ლაშქარი გაშლით მოდის მძიმედ მუკდენისაკენ. მარცხენა ფრთა დანდობილია მდინარე ლიაოხეზე, ხოლო მარჯვენა მთებთან არის ფუშუნის მადნების ახლო, ორმოც კილომეტრზე მუკდენიდან აღმოსავლეთისკენ. მუკდენის მცხოვრებნი წყნარად არიან. ვაჭრობა და ქუჩაში მისვლა-მოსვლა გაჩაღებულია. ლიაოიანთან იაპონელთ 30 ათასი კაცი დააკლდათ.

**პარიჟი.** 8 სექდემბერი. როგოროც კერძო წერილიდან, რომელსაც 17 აგვისტოს თარიღი აზის, სჩანს, საფრანგეთის საზღვაო აგენტი კიუვერვილი, რამდენისამე დღის წინად წერილის გამომგზავნამდე, ეტყობა, ჯერ ისევ პორტ-არტურში იყო. რადგანაც პირველად ფიქრობდნენ, კიუვერვილი ციხიდან გამოვიდა 25 ივლისსო გერმანიის საზღვაო აგენტთან ერთად, იმ აზრისანი არიან, რომ კიუვერვილი ცოცხალია.

**ბელგრადი.** (რეიტერი). დაგვირგვინება პროგრამის თანხმად შესრულდა.

**მუკდენი.** 7 სექდემბერი (რეიტერი). ომი აუცილებელია; მოდიან 8 თუ 9 დივიზია იაპონელთა: გაოლიანი თითქმის ყველგან მოსჭრეს, ასე რომ სასროლად ეხლა მინდორი მოცლილია. მდინარე ხუნი რუსთა მოწინავე ჯარის ფრონტია.

**მადრიდი.** (ჰავასი). ბილბაოდან მოსული დეპეშა უარჰყოფს გუშინ ოფიციალურად დაბეჭდილს ამბავს იმის შესახებ, ვითომ რუსის კრეისერს შეეპყროს ინგლისის გემი გაშლილ ზღვაზე სანტამარიას კონცხთან.

**ტოკიო.** (რეიტერი). ფიქრობენ, უმთავრესი ბრძოლა მოჰხდება ამ მოკლე დროში მუკდენთან. როგორც ეტყობა გენერალი კუროპატკინი ემზადება, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს. ის აგებს სიმაგრეებს. ორთავე ლაშქარმა ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ დაისვენეს და ეხლა მზად არიან ხელ-ახლა იბრძოლონ. დარი ხელს უმართავს საომარ საქმეებსა. გზები შრება; იაპონელნი სიჩქარით აკეთებენ რკინის გზასა: რამდენმამე სამხედრო აგენტმა, რომელნიც წასულ კვირას ტოკიოდგან ლიაოიანს მოვიდენ, ასი მილი თავახდილ ვაგონით გაიარეს, ვაგონებს ყულიები მიაგორებდენ. ლაშქრიდან გზავნიან ურმებს და მაშინებს, რომელიც რუსებს დავლად წაართვეს, ლიაოიანთან მისვლა-მოსვლას ამ ცოტა ხანში აადვილებენ და ეს გაუადვილებს ჯარების მიყვანასა და სურსათის მიტანას წინა პოზიციებზე. აქ ფიქრობენ, ოიამა ზამთრის დადგომამდე კუროპატკინს შეავიწროებს ზედ მიწოლითა, ხოლო გაზაფხულამდე შეიმაგრებს აღებულს წინა პოზიციებსა.—ამ კვირია ელოდენ უფრო გამწვავებულს იერიშს პორტ-არტურზე ახალის წესითა. მცოდნენი საქმისა ელიან, რომ ათს დღეში, ან ორ კვირაში აიღებენ ციხესაო. მთავრობის წარმომადგენელნი მდუმარებენ. ერთად ერთ ოფიციალურს ცნობას ალყის შესახებ წარმოადგენს მხოლოდ მოკლე სიები იმ მეზღვაურთა ზარალისა, რომელნიც ხმელეთზედ იბრძვიან. მანჯურიის უმთავრეს ბანაკიდან დეპეშით იუწყებიან, რომ რუსის ჯართა ნაწილები, რომელთაც დაზვერვა ჰხვდათ დაკისრებული, წავიდნენ პეიდუნცისკენ. 5 სექდემბერს ორთავე ლაშქარნი ერთმანერთს დაუახლოვდნენ. მუკდენიდან ფუშუნისაკენ მიმავალ გზაზე შეტაკება მოუხდათ.

**კუზნეცკი.** რეალური სასწავლებელი გამართეს.

**მინსკი.** გუბერნიის საერობო კომიტეტმა გადასდო სკოლების საჭიროებისათვის 8 ათასი მანეთი ყველა მაზრებზე და საშუალება მისცა, რომ იგუმენში პროგიმნაზია გამართონ.

**სტამბოლი.** (ჰავასი) რადგან პორტა-[illegible] [illegible], [illegible] ეპიდემიის [illegible] შიშისაგან [illegible].

9 სექდემბერი.

**ბერდიანსკი,** 8 სექდ. ჩაიყარა საძირკველი იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ძეგლისა.

**მუკდენი,** 8 სექდ. (ბერლინზედ მოსული) მუკდენის მნდამოთა ჩინელნი, მეტადრე მდინარე ჰუნის სამხრეთად მცხოვრებნი, სტოვებენ სოფლებს, რადგან ეშინიანთ ომისა. საფრანგეთის მისიონერები იუწყებიან, რომ იაპონელნი უფრო მედგრად ესევიან რუსთა მარცხენა ფრთას. ოიამა ვითომ ძალიან უკმაყოფილოა, რომ გენერალმა კუროკიმ ვერ მოახერხა ბრძოლის უკანასკნელ დღეს და ვერ მიაღწია რკინის გზამდე. ამიტომ ვითომ საყვედურიც უთხრა კუროკისაო.

**ლასპალმასი.** მოვიდა «თერგი» ვიგოდან, დაიტვირთა ქვა-ნახშირით და გაემართა სამხრეთად. 400 კაცი მეზღვაური ჰყავს და 14 ზარბაზანი აქვს.

**სტამბოლი,** 7 სექდ. («კორ. ბიურო») რამდენმამე ასმა სათადარიგო ჯარისკაცმა გაძარცვა სალონიკში 20 დუქანი. მიზეზს იმას ამბობენ, რად გვიგვიანებთ ჯამაგირის მიცემას და გვგზავნით დამასკს სამშობლო ქვეყანაშიო. სამოქალაქო აგენტები თხოულობენ მათს დასჯას.

**პეტერბურგი.** უმაღლესად დაარსებული კომისია შავის ჭირის ასაცილებლად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად აცხადებს, 25 აგვისტოდან 5 სექდემბრამდე იმიერკასპიის მხარეს კიდევ გახდა ავად ხოლერით 22 კაციო, მათ შორის 3 სამხედრო კაცი. 12 გარდაიცვალა. წარსულ კვირასთან შედარებით ხოლერა სცხრება. ბაქოში ოითო-ოროლა შემთხვევა იყო. 31 აგვისტოს ორი თათრის ქალი გახდა ავად და ერთი რუსი, ხოლო 14 სექდემბერს ერთი ბავშვი.

**ირკუტსკი.** აკურთხებენ უკვე გათავებულს ბაიკალის გარს შემოსავლელ რკინის გზას 12 სექდემბერს.

**ხარბინი,** 8 სექდემბერს (საკ. კორ.). 7 სექდემბერს იაპონელებმა, რომელიც ერთ ბრიგადამდე იყო, ორჯერ მოიტანა იერიში ჩვენს ჯარებზედ, რომელსაც ეჭირა გამაგრებული ადგილი დალინის უღელტეხილზედ. იერიში ორჯერვე უკუ ქცეულ იქმნა. 7 სექდემბერს სხვა არა მომდარარა. ჩვენ დაგვიჭრეს და მოგვიკლეს 70 კაცი. ზოგი დაჭრილთაგანი ისევ ჯარში დარჩა. პატარა რაზმი მტრისა გამოჩნდა დალინიდან აღმოსავლეთად.

**ჩიფუ,** 8 სექდ. (რეიტ.) იაპონელებმა პორტ-არტურთან ახალი ზარბაზნები გაამაგრეს, დალნიდან მოტანილი. იქ გაამაგრეს, საცა სიმაგრენი დაიჭირეს ბოლოს დროს მიტანილ იერიშით. დატყვევებულ იაპონელთა სიტყვით, დიდი ზარბაზნები ძალიან დაზიანებულია გამუდმებულ სროლით სიმაღლეებზედ თავ-გადავლებით. ამ სახით, იმათი იერიში ზღვიდან უფრო ნაკლებს ზარალს იძლევა ახლა, ვიდრე წინად. თუმცა მთავრობის წარმომადგენელთა შორის ამბობენ, რომ პორტ-არტურის აღება იმ დღეს მოხდება, როცა დაბადების დღეა მიქადოსი ნოემბერშიო, მაგრამ მაინც შესაძლოდ ჰხედავენ, რომ ციხის დაცემა გაზაფხულზე ადრე ვერ მოხდეს. ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ იაპონელები საზამთრო ბინებს აშენებენ დალინში ჯარისათვის. რუსეთის კონსულმა ჩიფუში დეპეშით აცნობა ამას წინად პეკინში და იჩივლა, რომ რუსეთის საელჩოს ახლოს 700 იაპონელია და გთხოვთ დაცვასაო. დაოთაიმ რომელმაც ბრძანება მიიღო დაიფარე საელჩოო, უპასუხა მთავრობას, რომ ის იაპონელნი, რომელთაც რუსეთის კონსული უჩივის, მანჯურიიდან ლტოლვილნი არიან და ელიან პორტ-არტურის დაცემასაო. საწყლები სიმშილით იხოცებიან. დავრწუნდი, რომ იმათ მშვიდობის მეტი არა უნდათ-რა. რუსთა წყაროდან იუწყებიან, რომ ზამთარი უფრო ხელ-შემწყობია რუსთა ჯარის ოპერაციებისათვის ვიდრე ზაფხული, რადგან რუსნი სიცივეს უფრო შეჩვეულნი არიანო. იმავე წყაროდან უნდა იყოს ის ცნობაცა, რომ როცა კუროპატკინი გაემართება სამხრეთად, მივა პორტ-არტურს ორ თვეზედ ადრეო. კუროპატკინის უკანასკნელ დეპეშაში სტესსელთან ნათქვამია, ვეცდები ციხის დახსნას და ეს მოჰხდება მაშინ, როცა ბალტიის ესკადრაც მოადგება პორტ-არტურსაო.

დროებით რედაქტორი **ზრ. ჟიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

**გამოსადეგი ცნობანი:**

**პეტერბურგის ბირჟა**

3 სექტემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . | 94,60 |
| ბერლინში ,, . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . | $37,47^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . | $6—7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 92 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | $88^3/_4$ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 388 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 305 ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | $256^3/_4$ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . | 89 ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 87 ნ. გაყ. |


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ზ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

**ბუხჰალტერი-სპეციალისტი**
(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბეკრად გადიდებულ პროგრამით რუსულ ენაზე [illegible], თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, [illegible] ანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—14). ალ. გ. საათაშვილი.

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—19)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა

**და რეზინის სხვა საქონლისათვის**

**უდიდესი ჯილდო**

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ს

# რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურიისას

**ს.-პეტერბურგში,**

დაარსებულს **1860** წელს.



**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“

([illegible] (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდი ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნიუშელერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, ლონდონს, [illegible], **ტფილისს** და [illegible]. (60—47).


 Тип. Б. И. Хеладзе, Русск. базаръ, домъ арм. семинаріи